საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-803

ქ. თბილისი

03/06/2021

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ფარცხანაყანების, სოფ. მაღლაკის და სოფ. საყულიას მიმდებარე ტერიტორიებზე სასარგებლო წიაღისეულის - მიწისქვეშა მტკნარი წყლის (58530000 m^3/წელ) კომუნალური და სოფლის წყალსადენისათვის მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ, გზშ-ის საჭიროების დადგენის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ფარცხანაყანების, სოფ. მაღლაკის და სოფ. საყულიას მიმდებარე ტერიტორიებზე სასარგებლო წიაღისეულის - მიწისქვეშა მტკნარი წყლის (58530000 m^3/წელ) კომუნალური და სოფლის წყალსადენისათვის მოპოვების სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სალიცენზიო ობიექტი წარმოდგენილია წყალტუბოს სამი სოფლის, კერძოდ სოფ. ფარცხანაყანევის (საკადასტრო კოდი - 29.11.41.031), სოფ. მაღლაკის (საკადასტრო კოდი - 29.10.42.020) და სოფ. საყულიას (საკადასტრო კოდი - 29.15.31.005) მიმდებარედ, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე. ობიექტის აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან შეადგენს 59-68 მეტრს. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს დაახლოებით 200 მეტრში.

სალიცენზიო ობიექტი ჰიდროლოგეოლოგიური დარაიონების მიხედვით მდებარეობს ფოროვანი, ნაპრალური, ნაპრალურ-კარსტული და კარსტული წყლების წყალტუბოს არტეზიულ აუზში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, წიაღითსარგებლობის ობიექტი, წარმოდგენილია სამ უბნად, მდებარეობს კოლხეთის დაბლობზე და მოიცავს მდ. რიონის და მდ. გუბისწყლის ძველ ტერასულ საფეხურებს. საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებულია 78 ჭაბურღილი. სოფ. მიწაწითელას სათავე ნაგებობაზე განთავსებულია - 22, სოფ. მუხიანის სათავე ნაგებობაზე - 20, ხოლო სოფ. ფარცხანაყანევის სათავე ნაგებობაზე - 36 ჭაბურღილი. სალიცენზიო ობიექტის სიღრმე 20-45 მეტრია. თითოეულ სათავე ნაგებობაზე ჭაბურღილების კომპლექსი მსხვილდიამეტრიანი მილებით წყალს კრებს იზოლირებულად არსებულ წყალშემკრებში. სალიცენზიო წყაროების უმეტეს ნაწილზე მოწყობილია თავმორთულობა და განთავსებულია რკინაბეტონის სათავსოებში, ხოლო ობიეტების ნაწილი საჭიროებს კეთილმოწყობას, სრული ექსპლუატაციის მიზნით.

ქიმიური შემადგენლობის თვალსაზრისით მიწისქვეშა წყლები ჰიდროკარბონატულ-კალციუმიან ტიპისაა, მინერალიზაცია 0.5 გ/ლ-მდე, წყალი ზომიერად ხისტია, pH - 6-7.6,

ფტორის შემცველობა არ აღემატება 0.1 მგ/ლ-ს. ობიექტზე წყლის ტემპერატურა შეადგენს 14-15°C-ს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი შესწავლილია დეტალური დაძიების სტადიაზე. მოთხოვნილი 58530000 $მ^3$/წელ რაოდენობის წყალი წარმოდგენილია P (პროგნოზული) კატეგორიით. წყლის გამოყენება დაგეგმილია კომუნალური და სოფლის წყალსადენებისათვის. ჰორიზონტის წყლების სანიტარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ჭაბურღილების განთავსების უბნებზე საშიში გეოლოგიური პროცესები არ შეინიშნება და საბადოს ექსპლუატაციის პროცესში გართულებები მოსალოდნელი არ არის. ობიექტი არ ხვდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან და დაცული ტერიტორიის სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია წითელი ნუსხის ხე-მცენარეები.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ იქნება. დაგეგმილი საქმიანობა არ გამოიწვევს წყლის, ნიადაგის და მიწის დაბინძურებას, ნარჩენების წარმოქმნას. გარემოს დაბინძურება და გარემოზე კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი. ექსპლუატაციისას ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება იქნება მინიმალური.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადებით დგინდება, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ფარცხანაყანების, სოფ. მაღლაკის და სოფ. საყულიას მიმდებარე ტერიტორიებზე სასარგებლო წიაღისეულის - მიწისქვეშა მტკნარი წყლის (58530000 $მ^3$/წელ) კომუნალური და სოფლის წყალსადენისათვის მოპოვებას გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ ექნება.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-2 პუნქტის 2.2 ქვეპუნქტის საფუძველზე,</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ფარცხანაყანების, სოფ. მაღლაკის და სოფ. საყულიას მიმდებარე ტერიტორიებზე სასარგებლო წიაღისეულის - მიწისქვეშა მტკნარი წყლის (58530000 $მ^3$/წელ) კომუნალური და სოფლის წყალსადენისათვის მოპოვება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს;

4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი